თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 17

ქ. თელავი 27.11.2019 წელი

თავმჯდომარეობდა: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - **დავით გოგოშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი;** ეკონომიკისა და ქონების მართვის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი;** სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი;** საკრებულოს წევრები: **ზურაბი ლილუაშვილი** და **აბრაამ მახარიაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე - **დავით ღაღანიძე;** ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე **ლევან ლილუაშვილი;** ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მწვანეები" თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი,** ფრაქციის ,,ქართული ოცნება - კონსერვატორები" თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი;** ფრაქციის ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" თავმჯდომარე **არჩილ თვალიაშვილი;** საკრებულოს წევრი: გოჩა წაწალაშვილი.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **დავით ნუსხელიძე,** აპარატის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი **ნინო ტაბიძე;** საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი **ნინო ასანაშვილი;** საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - **ნიკოლოზ ესიტაშვილი.**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის **ნათია ვაყელიშვილი;** მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი **დავით ქსოვრელიშვილი.**

თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

<u>მოისმინეს:</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ნათია ვაყელიშვილმა ისაუბრა ბიუჯეტში შესატან ცვლილებებზე და განმარტა, რომ ძირითადი ცვლილება ეხება შემდეგს: ნადიკვრის ფანჩატურების რეაბილიტაციისათვის განკუთვნილი თანხა იქნა გამოთავისუფლებული და აღნიშნული თანხა მიმართული იქნება გზების რეაბილიტაციასა და თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხოდაშენში მინი-სტადიონის მოწყობისათვის. ასევე მან უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ სხვა შეკითხვებს.

<u>**გადაწყვიტეს:**</u> კომისიის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, წარმოდგენილი ცვლილებების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განხილვა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე — დ. გოგოშვილი